პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 101 (4095)

1970 წ. 26 მაისი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. პოკატაევის ოქროს დუბლი

ბერლინი, 24 მაისი. სარატოველი ძიუდოისტი, 26 წლის ვ. პოკატაევი ერთადერთი აღმოჩნდა ევროპის ჩემპიონატში მოსპარეზეთა შორის, ვინც ოქროს 2 მედალი მოიხვეჭა. გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა ნაკრების გამარჯვების შემდეგ პოკატაევმა კონტინენტი ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა ქვემძიმე წონაში — ფინალში სძლია 22 წლის უ. შტოკს (გდრ).

პოკატაევი გამოცდილი მებრძოლია. იგი ევროპის 1967 წლის ჩემპიონია საშუალო წონაში და კონტინენტური პირველობების არაერთგზის პრიზიორი. ახლანდელი გამარჯვება, მისი სიტყვებით, ყველაზე ძნელი იყო.

— წაგების შემთხვევაში მე სპორტისთვის თავის დანებებასაც კი ვაპირებდი, — განუცხადა მან საკდასას კორესპონდენტს, — მაგრამ ახლა მივხვდი, რომ ჯერ კიდევ მაქვს ძალა აჯალი გამარჯვებისთვის.

პოკატაევმა გუნდური შეჯიბრების დროს ხუთივე ჭიდილი მოიგო, პირად ტურნირში კი შვიდიდან მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგო (წინასწარ შეჯიბრებაში — შტოკთან). ფინალურ შერკინებაში ჩემპიონმა პირველივე წუთებზე ჩაატარა ილეთი, რის შედეგად შტოკი იატაკზე აღმოჩნდა. ამან საბჭოთა ძიუდოისტს ნახევარი ქულა და გამარჯვება მოუტანა.

საბჭოთა ნაკრების დებიუტანტისთვის, მოსკოველი ე. სოლოდუხინისთვის ბრინჯაოს მედალი დიდი წარმატებაა. იგი თამამად ჭიდაობდა, მაგრამ ნახევარფინალში შტოკთან დამარცხდა.

საშუალო წონაში ევროპის ჩემპიონი პირველად გახდა ლონდონელი სტუდენტი, 23 წლის ბ. ჯექსი, რომელმაც ფინალში მოუგო გამოცდილ ჰოლანდიელ ათლეტს მ. პოგლაიენს.

მძიმე წონაში კონტინენტის შარშანდელი ჩემპიონი ვ. რიუსკა (ჰოლანდია) ვერცხლის მედლით დაკმაყოფილდა: ფინალში მან წააგო კ. გლანთან (გფრ).

პრიზიორები

მსუბუქი წონა: 1. ჟ.-ჟ. მუნიე (საფრანგეთი), 2. ს. სუსლინი (სსრ კავშირი), 3. კ.-ჰ. ვერნერი და დ. შოლცი (ორივე — გდრ);

ქვესაშუალო: 1. რ. ჰენდელი; 2. დ. ჰეტგერი (ორივე — გდრ), 3. ე. მიულენი (დიდი ბრიტანეთი) და ე. დორბანდტი (გფრ);

საშუალო: 1. ბ. ჯექსი (დიდი ბრიტანეთი); 2. მ. პოგლაიენი (ჰოლანდია), 3. ჰ. ლეოპოლდი და ო. სპირატი (ორივე — გდრ).

ქვემძიმე: 1. ვ. პოკატაევი (სსრ კავშირი); 2. უ. შტოკი (გდრ), 3. ე. სოლოდუხინი (სსრ კავშირი) და ჰ. ალბერტინი (საფრანგეთი);

მძიმე: 1. კ. გლანი (გფრ), 2. ვ. რიუსკა (ჰოლანდია), 3. ჰ. შულეტ (გდრ) და დ. ეველნსი (ჰოლანდია);

აბსოლუტური პირველობა: 1. კ. ჰენიგი (გდრ), 2. ვ. რიუსკა (ჰოლანდია), 3. ს. ნოვიკოვი (სსრ კავშირი) და ჟ.-კ. ბრონდანი (საფრანგეთი).

გუნდური პირველობა: 1. სსრ კავშირი, 2. ჰოლანდია, 3. საფრანგეთი და ავსტრია.

პირველი პრემია — სპორტულ ფირს

მინსკში გაიმართა IV საკავშირო კინოფესტივალი. სამეცნიერო-პოპულარული ფილმების განყოფილებაში პირველი პრემია და პრიზი დაიმსახურა კინოსურათმა „მეხიკოს ძნელი სტარტები“ („ცენტრნაუჩფილმი“).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის პრიზები გადაეცა სამ სპორტულ ფილმს — „მეხიკოს ძნელი სტარტები“, „ეს მძიმე შტანგა“ (დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდია), „დ'არტანიანი, ალიონსა და სერიოზა“ (დასავლეთ ციმბირის კინოქრონიკის სტუდია).

კონოვალენკო — სეზონის საუკეთესო ბოქსიორი

მსოფლიოს შვიდგზის და ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი, გორკის „ტორპედოსა“ და სსრ კავშირის ნაკრების მეკარე, 32 წლის ვ. კონოვალენკო 1970 წლის საუკეთესო ბოქსიორად აღიარეს. ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც შეჯამდა შედეგები „ფუტბოლ-ჰოკეის“ ტრადიციული ანკეტისა, რომელიც ამ ყოველკვირეულმა გაზეთების, საკდესის, ტასს-ის, რადიოსა და ტელევიზიის სპორტულ ჟურნალისტებს შორის მოაწყო. კონოვალენკომ 124 ქულა მიიღო (26 პირველი, 17 მეორე, 12 მესამე ადგილი). მეორე იყო მოსკოვის „დინამოსა“ და სსრ კავშირის ნაკრების ახალგაზრდა თავდამსხმელი ა. მალცევი (104 ქულა), რომელიც სტოკჰოლმის წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში ყველაზე შედეგიანი მოთამაშე გახლდათ. კონოვალენკოსთან და მოსკოვის არმიელ ა. ფირსოვთან ერთად იგი მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანეს.

ჟურნალისტებმა III ადგილი მიაკუთვნეს მსოფლიოს რვაგზის და ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონს, მოსკოვის სპარტაკელს, 30 წლის ვ. სტარშინოვს (83 ქულა). ცსკა-ს ახალგაზრდა თავდამსხმელებმა ვ. ვიკულოვმა (48) და ვ. ხარლამოვმა (20) IV და V ადგილები დაიკავეს.

ა. ფირსოვი, რომელიც ორჯერ აღიარეს მსოფლიოს საუკეთესო ბოქსიორად, ამჯერად VII ადგილზე აღმოჩნდა.

ანკეტის მონაწილე 68 ჟურნალისტმა სულ 18 ბოქსიორი დასახელა.

ქალი ქვეყე

● ტოკიო, 24 მაისი. სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა ნაკრები გუნდისგან განსხვავებით, საბჭოთა ვაჟების კოლექტივმა წარმატებით დაიწყო თავისი იაპონური ტურნე — ანგარიშით 3:1 (13:15, 15:6, 15:12, 15:8) სძლია ამომავალი მზის ქვეყნის ეროვნულ გუნდს. სტუმრებმა მეორე მატჩიც ასევთივე ანგარიშით მოუგეს მასპინძელთა ნაკრებს. სსრ კავშირის ქალთა გუნდის მეორე თამაში მისი გამარჯვებით დასრულდა — მან ანგარიშით 3:0 დაამარცხა იაპონელ სტუდენტთა გუნდი.

● მოსკოვი, 24 მაისი. ვ. ი. ლენინის ცენტრალურ სტადიონზე დღეს დაიწყო ინგლისის, ავსტრიის, გდრ-ის, დანიის, მონღოლეთის, პოლონეთის, ფინეთის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის მშვილდოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება. ლითონის ისრები 5 საათის განმავლობაში მიფრინავდნენ ვეებერთელა სამიზნეებისკენ. ქალები პირველ დღეს 70 და 60 მეტრზე, ხოლო ვ.-ები 90 და 70 მეტრზე ასპარეზობდნენ. ქალთა შორის დაწინაურდნენ გუნდურ ჩათვლაში მსოფლიო ჩემპიონი, ლვოველი ტ. ობრაზცოვა (561 ქულა 720-დან) და კიეველი ლ. გრიშჩენკო (540). ვაჟებში ლიდერობა ხელთ იგდეს შარშანდელი ამგვარი ტურნირის აბსოლუტურმა გამარჯვებულმა, ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა, ფრანგმა ჟ. ბეკენმა (531), დანიელმა ა. იაკობსონმა (522) და ნოვაია კახოვკის წარმომადგენელმა ვ. რეზნიკოვმა (514). ევროპის ჩემპიონი კ. ლაასონენი (ფინეთი) ჯერჯერობით V ადგილზეა. მოსპარეზეებს ამინდმა უმტყუნა: ძლიერად ქროდა ქარი და ხანდახან წვიმდა კიდეც.

● სტოკჰოლმი, 24 მაისი. ევროპის რეკორდსმენმა რ. ბრუხმა (შვეიცია) წლევანდელი სეზონის პირველ შეჯიბრებაში 60,88 მეტრზე ტყორცნა ბაღრო.

● მინსკი, 24 მაისი. გდრ-ის, გფრ-ის, იტალიის, ჰოლონეთის, რუმინეთის, ფინეთის, საფრანგეთის, შვეიცის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის წყალში მხტომელთა საერთაშორისო ტურნირში ქალთა შორის კოშკიდან ხტომა მოიგო ს. ფიდლერმა (გდრ) — 317,16 ქულა. II ადგილზეა ა. სვლინა (სსრ კავშირი) — 307,05, III — რ. კრაინოვა (ჰოლონეთი) — 278,10. ტრამპლინიდან ხტომაში იმარჯვა თ. საფონოვამ (სსრ კავშირი) — 401,58. კოშკიდან ვაჟთა ასპარეზობაში ყველას აჯობა ლ. მათეესმა (გდრ) — 424,68.

● ვილნიუსი, 24 მაისი. ლიტველ მძლეოსანთა რესპუბლიკური ტურნირში 19 წლის ა. ვიტკევიჩუსმა ბირთვის კვრაში იუნიორთა ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა — 18,55 მ.

● ედინბურგი, 24 მაისი. ინგლისის მძლეოსანთა შეჯიბრებაში გაიმარჯვეს: 220 იარდზე რბენაში — ი. მერილინ-ნეიფვილმა (23,6), 100 მეტრზე — პ. გოლდენმა (11,5), სიგრძეზე ხტომაში — ე. უილსონმა (642 სმ). აღსანიშნავია 5000 მეტრზე რბენაში კონტინენტის ჩემპიონის ი. სტიუარტის გამარჯვება 1500 მეტრზე — 3.45,2.

ნახევარფინალში!

მონაკო, 24 მაისი. სსრ კავშირის ჩოგბურთელთა ნაკრები დევისის თასის ევროპული ზონის ნახევარფინალში გავიდა. ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც სტუმრებმა მონაკოს ნაკრებს მესამე შეხვედრაც მოუგეს: თბილისელი ა. მეტრეველისა და ბაქოელი ს. ლიხაჩოვის წყვილმა დაამარცხა მასპინძელთა დუეტი.

ახლა საბჭოთა გუნდის პირისპირ ჩეხოსლოვაკიელები დადგებიან.





◆ იამაგატა, 25 მაისი. სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა ეროვნულმა გუნდმა თავისი იაპონური ტურნეს მესამე მატჩში აქ ანგარიშით 3:2 (11:15, 15:10, 14:16, 15:1, 15:9) დაამარცხა ამომავალი მზის ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრები.

უშეღავათო ბრძოლაში

დაიწყო სსრ კავშირის საკლუბო გუნდების პირველობა ფიდოვან ბილიეზე მოტორბოლაში. შეჯიბრების მონაწილენი ორ კლასად არიან დაყოფილი. „ა“ კლასის 8 გუნდი ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძვის, „ბ“ კლასის 12 კოლექტივი კი ორ ქვეჯგუფად წრიული სისტემით (ორ წრედ) ხვდება ერთმანეთს. ქვეჯგუფებში 2-2 უძლიერესი ფინალურ ჯგუფს შექმნის და წლის დამლევს ერთმანეთს შეეჯიბრება „ა“ კლასის 2 საგზურისთვის. „ა“ კლასში ბოლო ორ ადგილზე გასულები გაისად „ბ“ კლასში დაიკავებენ მათს ადგილებს.

სპიდვეისტთა კოლექტივი „თბილისი“ „ბ“ კლასში გამოდის. მის ქვეჯგუფში არიან „ა“ კლასის შარშანდელი ბინადარი — კადიევკის „ავტომობილისტი“, ლვოვის „კარპატი“, ბალაკოვოს „ტურბინა“, სარატოვის „სალუტი“ და ელისტის „ტაიფუნი“.

პარასკევს „ლოკომოტივის“ სტადიონზე „თბილისს“ პირველი კალენდარული მატჩი „ავტომობილისტთან“ ჰქონდა. ყოველ გუნდში 7 სპორტსმენია. მასპინძელთა ინტერესებს ევროპის ჩემპიონთან — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ ვ. კლიმენტიევთან და იუნიორთა შორის კონტინენტის ჩემპიონთან, სპორტის ოსტატობის კანდიდატ ვ. გორდეევთან ერთად იცავდნენ სპორტის ოსტატი ა. სტასკევიჩი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი პ. ზელენსკი, პირველთანრიგოსნები ე. ნონიკაშვილი, თ. ნოზაძე და მეორეთანრიგოსანი გ. ხუჯაძე.

„ავტომობილისტის“ გუნდში გამოდიოდა „თბილისიდან“ გადასული ოსტატი ვ. ბუკაევი, სპორტის ოსტატი ბ. კოპილოვი, ოსტატობის კანდიდატი ვ. ვედუტა, პირველთანრიგოსნები ს. რიეკოვი, ი. ბოლოტსკი, მეორეთანრიგოსნები ს. დოვჟენკო და ა. გეიმანი.

ბრძოლა უშეღავათო იყო. ამას ისიც ადასტურებს, რომ 13 სერიიდან ცხრაში ვერც ერთმა კოლექტივმა ვერ მოიპოვა უპირატესობა. სტუმრებმა ერთნაირი ანგარიშით (4:2) იმარჯვეს მეოთხე და მერვე სერიებში, რადგან ნონიკაშვილი გაუბედავად მოქმედებდა და გუნდს ვერაფერი არგო. ამან ბოლო ორი სერიის წინ სტუმრები 4 ქულით დააწინაურა. ნაგრამ მოპოვებული წარმატების შენარჩუნება მათ ვერ შეძლეს, ვინაიდან მეთორმეტე სერიაში ზელენსკიმ და კლიმენტიევმა, ხოლო მეცამეტეში გორდეევმა და სტასკევიჩმა არა მარტო გამოსწორეს მდგომარეობა, არამედ „თბილისს“ გამარჯვებაც მოუტანეს — 41:37.

სწორედ ეს ორი სერია გახლდათ ყველაზე საინტერესო. პირველივე ვირაჟიდან კლიმენტიევმა თანაგუნდელი ზელენსკი დაწინაურა, ზურგიდან ფარად დაუდგა და ბუკაევს წესების დაურღვევლად გასწრების საშუალებას არ აძლევდა. კადიევკელის ყველა ცდა ამაოდ დამთავრდა. ბოლოს იგი ბოდს შეურიგდა და რბოლა მესამემ დამთავრა.

ანალოგიური სცენა გაითამაშა „თბილისის“ მეორე დუეტმა — გორდეევმა და სტასკევიჩმა. ამ გადამწყვეტ რბოლაში ნერვები ჩაერია: ჯერ გორდეევს, შემდეგ კოპილოვს ცრუ სტარტი მოუვიდათ. ბოლოს, როგორც იქნა, რბოლა დაიწყო. გორდეევი სტასკევიჩს ეხმარებოდა, მაგრამ მათი მეტოქე კოპილოვი (რიეკოვი თავიდანვე ჩამორჩა) უფრო შეუპოვარი გამოდგა. მეტოქეებს იგი ისე სახიფათოდ მიყვებოდა, რომ ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო მარჯვნიდან მისი დაწინაურება. ამიტომაც ბოლო წრეზე გორდეევმა ამჯობინა თავად გაჭრილიყო წინ. კოპილოვი მეორე იყო, სტასკევიჩი — მესამე.

გამარჯვებული გუნდიდან საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდათ გორდეევსა (12 ქულა) და კლიმენტიევს (11), ხოლო სტუმრებიდან — ვედუტას (10) და კოპილოვს (8).

დღეს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე მორიგი ტურია. „თბილისი“ ლვოვის „კარპატის“ უმასპინძლებს.

რ. მალრაძე.

• • •

სურათზე: „თბილისისა“ და „ავტომობილისტის“ შეხვედრის მომენტი.

ავტორის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონები — ყრილობის დელეგატები

. . . ია, ისინი ერთად არიან — მძლეოსანი ნ. ჩიეოვა, ველოსიპედისტი რ. ობოდოვსკაია, ბიატლონისტი ვ. შამატოვი, ჰოკეისტი ვ. სტარშინოვი, მოჭადრაკე ნ. გაფრინდაშვილი, ტანმოვარჯიშე მ. ვორონინი...

გუშინ ისინი სხვა სპორტსმენებთან და ფიზკულტურულ მუშაკებთან — საკავშირო ალკა XVI ყრილობის დელეგატებთან ერთად მიიღო ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარემ ხ. პავლოვმა. იგი მიეხალმა მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის კომკავშირელთა რჩეულთ, მოუთხრო სამეოთა ქვეყანაში მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი განვითარების გეგმებზე, სპორტსმენთა მომავალ ამოცანებზე.

მიღებაზე ყრილობის ზემოჩამოთვლილ დელეგატებს ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის საპატიო სიგელები გადაეცათ.

ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲗᲐᲪ ᲓᲐᲐᲛᲨᲕᲔᲜᲐ

უნივერსიადამ მძლეოსნებს მეტად მკაცრი მოთხოვნები წაუყენა: ჩათვლაში მხოლოდ I თანრიგისა და უკეთესი შედეგები შედიოდა. თითოეულ კოლექტივს 18 ასეთი ჩათვლა უნდა მიეღო, თანაც საკონკურსოდ მხოლოდ „ბურევესტნიკის“ წევრები დარჩენილნენ. არადა, რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში სხვა საზოგადოებების ბევრი უძლიერესი სპორტსმენია. ამან ტურნირის შემადგენლობა ერთგვარად შეასუსტა. საჭირო რაოდენობის ჩასათვლელი ქულები ვერც ერთმა კოლექტივმა ვერ მოაგროვა. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმაც კი, რომელმაც პირველობა მოიგო, საბოლოოდ მხოლოდ 108 ქულა მიიღო და 12 ქულით აჯობა უნივერსიტეტის კოლექტივს. ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნებმა 22 ქულის მოგროვება შეძლეს. კიდევ ორმა უმაღლესმა სასწავლებელმა მიიღო ჩათვლა — ბათუმის პედინსტიტუტმა (18 ქულა) და სამედიცინო ინსტიტუტმა (12).

ასპარეზობაში უკონკურსოდ მონაწილეობდნენ სხვა საზოგადოებების სპორტსმენები, აგრეთვე, ბულგარელი სტუდენტები, რომლებმაც შედარებით მაღალი შედეგები აჩვენეს. მძლეოსნებმა სპორტის ოსტატობის კანდიდატისა და I თანრიგის 37 შედეგი მოიპოვეს, მაგრამ მათგან 14 უკონკურსოდ მონაწილეთა ანგარიშზე მოდის. უკანასკნელი ციფრი უფრო დიდი იქნებოდა, სამანდატო კომისიას დებულება რომ არ დაერღვევა და ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის ინტერესების დაცვის უფლება სხვა საზოგადოების სპორტსმენებისთვის არ მიეცა. მაგალითად. ბათუმის პედინსტიტუტის სტუდენტი ვ. ფედოსეევნკოვა დინამოელია, უნივერსიტეტის სტუდენტი ლ. შუმილინა კი კარგა ხანია თბილისის არმიელთა სპორტკლუბის წევრად ითვლება და ამას წინათ გამართულ საქალაქო ტურნირში სწორედ ამ უწყების სახელით გამოდიოდა.

პროგრამით გათვალისწინებული 37 სახეობიდან სპორტსმენებმა ჩასათვლელი ნორმატივები 15 სახეობაში შეასრულეს, ოთხ სახეობაში (10.000 მეტრზე რბენა, 200 მეტრზე თარჯრბენი, ვაჟთა და ქალთა ესტაფეტები 4×200 მეტრზე) კი სტარტზე საერთოდ არავინ გამოსულა. 4×100 მეტრზე ვაჟთა ესტაფეტაში მარტო პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი იბრძოდა და ისიც წესის დარღვევისთვის შეჯიბრებიდან მოიხსნა.

ზოგიერთ სახეობაში 2-3 მძლეოსანი ასპარეზობდა, ყველაზე წარმომადგენლობითი (8-8 სპორტსმენი) კი 100 და 200 მეტრზე რბენა იყო. დასანანია, რომ ზოგიერთ სახეობაში გამარჯვებულები II თანრიგის ნორმატივსაც ვერ შესწვდნენ. მაგალითად, 800 მეტრის გარბენას მ. ქურთაევამ (ცხინვალის პედინსტიტუტი) 2-წუთი და 27,2 წამი მოანდომა, ხოლო 1500 მეტრზე მას 5.16,4 დასჭირდა. ზოგიერთმა სპორტსმენმა, რომელიც ჭაბუკობაში ბევრს გვპირდებოდა, უმაღლეს სასწავლებელში შესვლისთანავე შედეგები საგრძნობლად გააუარესა, ეს იგი, მათთან სათანადოდ აღარ მუშაობენ. მაგალითად გამოდგება ნ. ზვიადაური (სპი), რომელმაც შუბის ტყორცნაში პირადი შედეგი 10 მეტრით მაინც გააუარესა და უნივერსიადაში II თანრიგის შედეგით (57 მ) გამარჯვებას დასჯერდა.

მაგრამ არ შეიძლება ამ შეჯიბრებაზე ლაპარაკი მხოლოდ ნაკლის აღნიშვნით დავამთავროთ. პირველ ყოვლისა მისასალმებელია, რომ მძლეოსნობას დაუბრუნდა თამარ კლდიაშვილი (პოლიტექნიკური ინსტიტუტი). მან ორი გამარჯვება იზეიმა: ჯერ 100 მეტრზე თარჯრბენი მოიგო (14,9), შემდეგ კი ხუთჭიდი, სადაც თარჯრბენში პირადი შედეგი 14,6 წამამდე დაიყვანა. თარჯრბენსა და ხუთჭიდში კლდიაშვილისგან მალე რესპუბლიკური რეკორდებს უნდა ველოდოთ.

ტურნირი რეკორდმაც დაამშვენა. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ი. ფხაკაძემ (მწვრთნელი გ. მაიერი), რომელიც პირად შეჯიბრებაში გამოდიოდა, ურო 58,75 მეტრზე ტყორცნა და 5 სანტიმეტრით გააუმჯობესა საქართველოს რეკორდი, რომელიც ა. ბაგაურს ეკუთვნოდა. 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში ვ. სანიკიძემ (თსუ — 1:42.59,0) და ო. გულიევმა (ფიზკულტურის ინსტიტუტი — 1:44.00,0) კი პირველად შეასრულეს I თანრიგის ნორმატივი.

ო. ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

* * *

დავასახელებთ მხოლოდ იმ სპორტსმენებს, რომლებმაც I თანრიგისა და უკეთესი შედეგები აჩვენეს:

ᲥᲐᲚᲗᲔᲑᲘ. რბენა. 100 მ. მ. ბობჩევა (ბულგარეთი) — 12,3; **200 მ.** ბობჩევა — 25,8; **სიგრძეზე ხტომა.** ც. ჩოლიაშვილი („სპარტაკიონ“) — 585 სმ, ნ. ლომიძე — 575, შუმილინა (ორიგე — უნივერსიტეტი)— 572, ფედოსეევნკოვა — 569, ლ. გუკა (სპი) — 559, თ. ეპიფანოვა (უნივერსიტეტი) — 559; **ბადროს ტყორცნა.** ლ. ტუღუში („დინამო“) — 49,44, ც. ჯაფარიძე („კოლმეურნე“) — 47,45, გ. ბერაია (სპი) — 43,34; **შუბის ტყორცნა.** დ. საბაური (სპი)—46,88; **ხუთჭიდი.** კლდიაშვილი — 4106 ქულა, ფედოსეევნკოვა — 4023, გუკი — 3966.

ᲕᲐᲟᲗᲔᲑᲘ. რბენა. 100 მ. ვ. ქავთარაძე — 10,9; **200 მ.** ე. კონდრატიევი (ორიგე — სპი) — 22,3, ტ. ბაბტაძე („სპარტაკი“)—22,6; **400 მ.** ი. კოზელსკი („დინამო“) — 50,0; **800 მ.** რ. არმეგოსშვილი (სპი) — 1.55,6, ზ. ქავზინაძე (თსუ) — 1.56,4; **1500 მ.** ქავზინაძე — 4.05,2; **3000 მ წინაღობებით.** ა. მიქოიანი (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 9.27,6; **110 მ თარჯრბენი.** ვ. ფიოდოროვი (თბილისის ასკ) — 15,5; **400 მ თარჯრბენი.** კოზელსკი — 53,2; **სიგრძეზე ხტომა.** ზ. ალხანაიძე („კოლმეურნე“) — 729, ვ. ჩუკანოვი — 728; **სამხტომი.** მ. ფრიდმანი (ორიგე — თსუ) — 15.09; **სიმაღლეზე ხტომა.** გ. მებონია (სპი) — 195, ვ. კრასნოვი, ვ. პოპოვი (ორიგე — „შრომითი რეზერვები“) — ორიგე—190; **ჭოკით ხტომა.** მ. თათევოსიანი („კოლმეურნე“) — 455; **ბირთვის კვრა.** ვ. ბაისუროაძე (თსუ) — 16,20; **უროს ტყორცნა.** ფხაკაძე — 58,75, ე. გაფრინდაშვილი (მედინსტიტუტი) — 54,42.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: 100 მეტრზე რბენის ფინიშთან. წინაა ბობჩევა.

ვ. ზარგარიანის ფოტო.

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲕᲔᲚᲝᲠᲑᲝᲚᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲖᲔ

ᲛᲗᲔᲚᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ — ᲔᲠᲗ ᲤᲔᲠᲨᲘ

პოტსდამი, 23 მაისი. ჰოლონეთის მრბოლელთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი ჰ. ლასაკი საუცხოო გუნებაზეა — მისი ბიჭები მშვიდობის XXIII ველოსრბოლის XI ეტაპზეც (ოდერის ფრანკფურტი — პოტსდამი) საუკეთესონი იყვნენ როგორც პირად (კ. სტეეი), ისე გუნდურ ჩათვლაში. ისინი მართლაც ბრწყინვალედ ასპარეზობენ — პირველივე ეტაპიდან ინარჩუნებენ ლიდერთა ცისფერ მაისურებს.

— თუ დანარჩენ ოთხ ეტაპშიც ასე წავა საქმე, — ამბობს ლასაკი,—ჩვენ ნაოდად გავიმარჯვებთ.

ჰოლონეთის ნაკრების დროა 148:20.39. პირად ჩათვლაში რბოლას კვლავ ლიდერობს ყველაზე აქტიური მრბოლელი რ. შურკოვსკი — 37:01.15.

II ადგილზეა ფრანგი მ. დიუშემენი (37:04.07), III — ჰოლონელი ზ. ხანუშჩიკი (37:05.48).

საბჭოთა ნაკრები III ადგილზეა (148:39.45), — იგი ჩეხოსლოვაკიის გუნდს 3 წუთითა და 6 წამით ჩამორჩება. შემდეგ მოდიან საფრანგეთისა და ბულგარეთის ველოსიპედისტები, ბაგრამ საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაში ისინი ალბათ ვერ ჩაერევიან.

საბჭოთა მრბოლელთაგან საუკეთესო — 32 წლის გ. ხაიდუკინი (სოჩი) გდრ-ის წარმომადგენელ ზ. ხუსტერთან VIII-IX ადგილებს იყოფს (37:08.02).

ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

კალე, 24 მაისი. გდრ-ის ნაკრების ვეტერანმა ა. პეშელმა დღეს ოქროს მედალი დაისაკუთრა XII ეტაპში (პოტსდამი — კალე) გამარჯვებისთვის: მან ყველაზე სწრაფად — 3 საათში, 50 წუთსა და 40 წამში (პოზიციაციის გათვალისწინებით) დაფარა 165-კილომეტრიანი დისტანცია. მეორე იყო ბელგიელი ვ. ვერშუერენი, მესამე — დანიელი ი. ტიმი.

პირად ჩათვლაში ისევ შურკოვსკი ლიდერობს (40:56.21), რომელიც ყველაზე აქტიური მრბოლელის იისფერ მაისურსაც ინარჩუნებს. II ადგილზეა დიუშემენი (40:59.13), III — ხანუშჩიკი (41:00.54).

საიდხუკინი „არ სცილდება“ ხუსტერს: VIII-IX ადგილები, 41:03.08. დანარჩენი საბჭოთა მრბოლელები შემდეგ ადგილებზე არიან: 20. ი. მიხაილოვი (41:04.57), 21. რ. კალენნიეკსი (41:05.50), 23. ი. დმიტრიევი (41:06.09), 27. ვ. კუსარსკი (41:06.33), 33. ა. გუსიატნიკოვი (41:07.39), 63. ვ. სოკოლოვი (42:11.51).

გუნდურ ჩათვლაში კვლავინდებურად წინაა ჰოლონეთის ნაკრები — 164:01.03. II ადგილზეა ჩეხოსლოვაკიის კოლექტივი — 164:17.03, III — სსრ კავშირის ნაკრები —164:20.09.

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲠᲝᲛᲐ ᲒᲕᲛᲐᲠᲗᲔᲑᲡ

ფოთში გამართულ რესპუბლიკურ საუწყებო პირველობაში „განთიადის“, „ბურევესტნიკის“, „ვოდნიკის“, „დინამოს“, „ლოკომოტივის“, „კოლმეურნის“, „შრომითი რეზერვებისა“ და ბილისის ასკ-ს მებაიდარეთა და კანოისტთა ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ.

ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო ერთმოსსმენიანი ბაიდარები 1000 მეტრზე ვაჟთა რბოლა. 50 სპორტსმენი 8 ნახევარფინალურ ჯგუფად დაიყო. ფინალში 9 საუკეთესო შეგროვდა. საბოლოოდ გამარჯვება რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონს, სსრ კავშირისა და ევროპის პირველობათა პრიზიორს ა. მატკავას (ასკ) დარჩა — 4.05,4. მას 0,8 წამით ჩამორჩა თანაგუნდელი ვ. კრატასიუკი. III ადგილზეც არმიელი დ. ბუკლოვი (4.13,6) გავიდა.

ორადგილიანი კანოებით 1000 მეტრზე შეჯიბრებაში მთავარი ბრძოლა „ბურევესტნიკისა“ და „ვოდნიკის“ დუეტთა შორის გაჩაღდა. ვოდნიკელები (ნ. ჩარაევი და ზ. ხოფერია) ჩამორჩნენ, „ბურევესტნიკის“ ორი ნავი კი ერთხანს გვერდიგვერდ მიცურავდა. როცა ფინიშამდე 200 მეტრი დარჩა, დაწინაურდნენ ვ. სირია და თ. ჩიტაია. საბოლოოდ ამ წყვილმა იმარჯვა — 4.03,8. ვ. მაკაროვი და ზ. თოლორაია გამარჯვებულ თანაგუნდელებს 0,4 წამით ჩამორჩნენ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში აშკარა იყო არმიელთა გუნდის უპირატესობა. მას ყველაზე ნაკლები, 18 საჯარიმო ქულა დაუგროვდა და გამარჯვებაც მიეკუთვნა. მომდევნო საპრიზო ადგილების მოპოვების ყველაზე მეტი შანსი „ბურევესტნიკს“, „განთიადსა“ და „ვოდნიკს“ ჰქონდათ. განთიადელებმა არმიელებზე 7 საჯარიმო ქულით მეტი მიიღეს და II ადგილიც დაიკავეს. სტუდენტები III ადგილს დასჯერდნენ — 26.

ეს ტურნირი გახლდათ საქართველოსა და სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადებისთვის მზადების ერთი ეტაპი, რომელმაც ჩვენი ნიჩბოსნების ოსტატობის ზრდა დაგვანახა. მაგრამ ისიც აშკარა იყო, რომ საკავშირო სარბიელზე დაკარგული პოზიციების დაბრუნებლად ჯერ კიდევ ძალიან დიდი შრომა გვმართებს.

Მ. ᲕᲜᲐᲗᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

შეჯიბრების მთავარი მსაჯის მოადგილე, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

(ჩვენი სპეც. კორ.).

ფოთი.

* * *

ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲥᲐᲚᲗᲔᲑᲘ. 500 მ. ერთადგილიანი ბაიდარა. ლ. ბესპალოვა (ასკ) — 2.29,2, ნ. ლუცენკო („ვოდნიკი“) — 2.35,6, ნ. ბაზალია („განთიადი“) — 2.38,0; **ორადგილიანი ბაიდარა.** ასკ (ბესპალოვა, ს. გერასიმენკო) — 2.16,3, „განთიადი“ — 2.16.3, „ვოდნიკი“—2.17,6. **ᲕᲐᲟᲗᲔᲑᲘ. 1000 მ. ორადგილიანი ბაიდარა.** „შრომითი რეზერვები“ (ლ. ქორიავა, ნ. პიატაკოვი) — 3.25,8, „ლოკომოტივი“ — 3.26,2, ასკ — 3.26,8; **ოთხადგილიანი.** ასკ (მატკავა, კრატასიუკი, ა. ივანოვი, ა. სკოტარენკო) — 3.10,8, „ლოკომოტივი“ — 3.11.9, „დინამო“ — 3.12,6; **ერთადგილიანი კანოე. 1000 მ.** მაკაროვი („ბურევესტნიკი“) — 4.52,3, ხოფერია („ვოდნიკი“)—4.54,2, ჩიტაია („ბურევესტნიკი“) — 4.59,2.

ᲕᲔᲛᲖᲐᲓᲝᲗ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ V ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ!

ᲗᲐᲥᲡᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲩᲐᲛᲞᲘᲝᲜᲘ

ამ 15 წლის წინ პირველად გათამაშდა კომკავშირის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პრიზი — გარდამავალი თასი ველოსრბოლაში. სპატიო ნადავლის ბოლო მფლობელი „დინამოს“ კოლექტივი იყო.

ამას წინათ ლენინის სახელობის სტადიონზე ამ შეჯიბრებას მეთხუთმეტედ მიეცა სტარტი. სტარტზე გამოვიდნენ „დინამოს“, „განთიადის“, ბავშვთა სპორტული სკოლისა და სხვა ნაკრები გუნდები.

ქალები 10 კილომეტრზე ჯგუფურ რბოლაში ასპარეზობდნენ. შეჯიბრება განთიადელმა ვ. ჟურავლიოვამ მოიგო. II-III ადგილები შესაბამისად დაიკავეს მ. გუსაროვამ და ვ. კრიკორუჩენკოვამ (ორიგე — „განთიადი“).

მეტად საინტერესო და დაძაბული გამოდგა ვაჟთა შეჯიბრება ქალაქის ირგვლივ წრიულ რბოლაში. ფინიშის ხაზი ყველაზე ადრე გადაკვეთა სპორტის ოსტატმა ვ. პოპოვმა. გამარჯვებულს მეათედი წამით ჩამორჩა თანაგუნდელი ო. ნიშნიანიძე. III ადგილი წილად ხვდა ბავშვთა სპორტსკოლის აღსაზრდელს ვ. შკოლას.

კომკავშირის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პრიზს ახალი მფლობელი გაუჩნდა — გუნდი, რომელსაც სპორტის ოსტატი ო. ნიშნიანიძე წვრთნის.

Ლ. ᲥᲐᲕᲣᲐᲠᲐᲫᲔ.

ბათუმი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲐᲛᲐᲗᲐ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ

„ᲛᲝᲮᲣᲪᲔᲑᲘ“ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲖᲔ

აზერბაიჯანის ჯანმრთელობის სპარტაკიადაში, რომელიც ნავთობისა და ქიმიის მრეწველობის მუშაკებისთვის მოეწყო, პირველობა ბაქოს ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ფიზკულტურელებმა მოიპოვეს. მათ ყველას აჯობეს 6-დან ოთხ სახეობაში. გამარჯვებულებმა დაამყარეს თავისებური რეკორდიც. მათ შორის იყო შეჯიბრების ყველაზე ხნიერი მონაწილე — 63 წლის გ. უსოვი. რიკაობაში სწორედ მისმა გუნდმა გაიმარჯვა. გუნდს შეჯიბრებისთვის ამზადებდა კოლექტივის უცვლელი კაპიტანი და მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ა. მიროფანოვი, რომელიც ნავთობგადამმუშავებელ ქარხანაში მუშაობს. იგი ფიზკულტურულ-მასობრივი და გამაჯანსაღებელი მუშაობის საბჭოს შემადგენლობაში შედის. სწორედ ამ საბჭოს თაოსნობით მოეწყო საწარმოში 3 წლის წინ „მოხუცთა“ სპარტაკიადა. ახლა კი ეს შეჯიბრებები ტრადიციად იქცა.

როცა ჯანმრთელობის ჯგუფები საამქროებშიც გაჩნდა, საქარხნო სპარტაკიადამდე საამქროებშივე დაიწყო შეჯიბრებების ჩატარება ამასთან პროგრამაში მუდამ რამდენიმე სახეობა ჰედის. ერთ-ერთია, მაგალითად, თევზაობა, სადაც ყველას სჯობს 54 წლის მუშა ს. გრუზდევი. იგი მეთევზეებს კარგად ხელმძღვანელობს. პირველ საქალაქო შეჯიბრებაში ამ ქარხნის წარნომადგენლებმა ყველა მეტოქეს აჯობეს.

... სპორტულ-მასობრივ მუშაობაში მოპოვებული წარმატებებისთვის ბაქოს სკკპ XXII ყრილობის სახელობის ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა პროფკავშირთა საკავშირო საბჭოს საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

Ა. ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲔᲕᲘ.

(საკდესის კორ.).

ბაქო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

22!

ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ყოველი მონაწილე გუნდი წარდგენილია 22 მოთამაშით. სსრ კავშირის ნაკრებმა წარადგინა 22 ფეხბურთელის საბოლოო სია. მოთამაშეებს ის ნომრები ექნებათ მაისურზე, რომლებიც განაცხადშია აღნიშნული:

1. ლ. შაუცი, 2. ა. კავაზაშვილი, 3. ვ. აფონინი, 4. რ. ძოძუაშვილი, 5. ვ. კაპლიჩნი, 6. ე. ლოვჩევი, 7. ვ. ლოგოფეტი, 8. მ. ხურცილავა, 9. ა. შესტერნიოვი, 10. ვ. ზიკოვი, 11. კ. ასათიანი, 12. ნ. კისელიოვი, 13. ლ. იაშინი, 14. ვ. მუნტიანი, 15. ვ. სერებრიანიკოვი, 16. ა. ბიშოვეცი, 17. გ. ევრიუჟიხინი, 18. ს. მეტრეველი, 19. გ. ნოდია, 20. ა. პუზაჩი, 21. ვ. ხმელნიცკი, 22 ვ. პორკუიანი.



სსრ კავშირის პირველობა

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ, ᲓᲘᲜᲐᲛᲝ, ᲙᲘᲔᲕᲘ

24 მაისს ბაქოში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ „ნევთჩი“ — და „ცსკა.

არმიელებმა შეძლეს მეტოქის დამარცხება—2:1. ცსკა-ს მხრივ ბურთები გაიტანეს დუდარენკომ და კოპეიკინმა, ბაქოელთაგან — მარქაროვმა.

ეს „ნევთჩის“ პირველი წაგებაა მიმდინარე ჩემპიონატში.



ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲤᲐᲖᲐ

მსოფლიო პირველობისთვის მზადება გადამწყვეტ ფაზაში შედის. ჩემპიონის ტიტულისთვის მებრძოლმა თექვსმეტივე გუნდმა უკვე დაიწყო აკლიმატიზაცია მექსიკაში. მართალია, ოქროს ქალღმერთის მფლობელებმა — ინგლისის ფეხბურთელებმა რამდენიმე დღით დატოვეს მექსიკა. ისინი გაემგზავრნენ კოლუმბიასა და ეკვადორში, სადაც ბოლო საკონტროლო მატჩებს ჩაატარებენ. ამასთან, ეს ქვეყნები მათ შემთხვევით არ აურჩევიათ — ბოგოტა და კიტო ზღვის დონიდან მეხიკოზე მაღლა მდებარეობენ. მოგზაურობა ინგლისელებმა, ცოტა არ იყოს, მარცხანად დაიწყეს: ეროვნული ნაკრების მწვრთნელს ა. რამსეის ბოგოტას აეროდრომზე მოპარეს საქაღალდე, რომელშიც ჰქონდა საბუთები, ფული და, როგორც ზოგიერთი ჟურნალისტი ამტკიცებს, ყველაზე ძვირფასი რამ — მსოფლიო ჩემპიონთა თამაშის სქემები თავიანთ მეტოქეებთან. მაგრამ ამ დანაკარგს სულაც არ უმოქმედია ინგლისელთა ნაკრების შანსებზე, რომელსაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ოქროს ქალღმერთი სამშობლოში წაიღოს. სხვათა შორის, ოქროს ამ ქანდაკებას დღე და ღამე სდარაჯობს 8 პოლიციელი და საიდუმლო სამსახურის 8 აგენტი.

ბრაზილიელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი შეუპოვრად ებრძოლონ ინგლისელებს და სხვა გუნდებსაც. მათს ნაკრებში დამაჯერებლად მოქმედებს თავდასხმა, რომელსაც პელე და ტოსტაო მეთაურობენ. რაც შეეხება დაცვას, ჩემი აზრით, იგი ასლა მხოლოდ საშუალო შეფასებას იმსახურებს. ბრაზილიელთა მწვრთნელი ზაგალო შეშფოთებულია იმ ამბით, რომ გუნდში ტრავმები გასშირდა: საწვრთნელ მეცადინეობაზე და ამხანაგურ შეხვედრებში სუთი მოთამაშე დაშავდა. მწვრთნელს აფიქრებს მეკარეთა მომზადების დონეც. შემთხვევითი როდია, რომ ზაგალომ მექსიკაში მესამე მეკარეც გამოიძახა. ბრაზილიელ სპორტსმენებს მორალურად ამზადებს ექიმი-ფსიქოლოგი.

მაგრამ ოქროს ქალღმერთის დასაკუთრების სურვილი მარტო ინგლისელებსა და ბრაზილიელებს როდი სწვავს. მაგალითად, ყველა ადგილობრივი მიმომხილველი ერთხმად აღნიშნავს ჩეხოსლოვაკიის ნაკრების თამაშის ძალიან მაღალ დონეს.

მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადება სპორტსმენებისგან დიდ ფიზიკურ და მორალურ დაძაბულობას მოითხოვს, ამას კი ყველა როდი უძლებს. ურუგვაის გუნდში წვრთნის დროს ორმა ფეხბურთელმა ჩხუბი გამართა. საჭირო გახდა პოლიციის გამოძახება. ყველაფერი დამთავრდა იმით, რომ ურუგვაის ნაკრების ხელმძღვანელებმა მოჩხუბრებს კარგა მოზრდილი ფულადი ჯარიმა დააკისრეს.

საბჭოთა ნაკრების მეტოქეები ჯგუფში — მექსიკის, ბელგიისა და სალვადორის გუნდები საფუძვლიანად ემზადებიან ჩემპიონატისთვის. მექსიკელმა მწვრთნელმა მეხიკოში საბჭოთა გუნდის ჩასვლის დღეს განაცხადა, რომ წყვეტს ღია საწვრთნელ მეცადინეობებს. ბელგიელი ფეხბურთელები ახლა ამხანაგური მატჩების სერიას ატარებენ, მაგრამ უმთავრესად სუსტ გუნდებთან. ძალიან დაძაბულად ვარჯიშობს სალვადორის ნაკრები. მასაც აქვს თავისი პრობლემები და ეს მარტო სტადიონის მწვანე მინდორს როდი ეხება. სალვადორელებმა უკვე ორჯერ გამოთქვეს კვების გამო უკმაყოფილება იმ სასტუმროს მიმართ, სადაც ისინი არიან დაბინავებული.

სსრ კავშირის ნაკრები მეხიკოში სამშაბათს ჩამოვიდა. მან თითქმის მოღელი დღე-ღამით დაკავგიანა, რადგან თვითმფრინავი პანამის აეროდრომზეც დაჯდა. საბჭოთა ფეხბურთელებს მექსიკაში ძალიან გულთბილად შეხვდნენ. გუნდი მოთავსდა პატარა, მაგრამ მყუდრო სასტუმრო „ესკარგოში“. 20 მაისს ჩვენმა სპორტსმენებმა ორსაათიანი საწვრთნელი ვარჯიში ჩაატარეს. მეორე დღეს საბჭოთა ნაკრებს უკვე სამი საწვრთნელი მეცადინეობა ჰქონდა: ერთი დილით, თეორიული, ორიც მწვანე მინდორზე — დღისით და საღამოს. ტრავმები საბოლოოდ მოიშუშეს შესტერნიოვმა, ნოდიამ და ხურცილავამ. ისინი უკვე შეუდგნენ ბურთით ვარჯიშს.

საბჭოთა ნაკრების წვრთნა „სენტრო ასტურიანოს“ სტადიონზე დიდ ინტერესს იწვევს ადგილობრივ ფეხბურთის მოყვარულთა და პრესის წარმომადგენელთა შორის, რომლებიც დაწერილებით წერენ ჩვენს მოთამაშეებზე. საბჭოთა სპორტსმენებს აქ ბევრი მეგობარი ჰყავთ. გუშინ, მაგალითად, სასტუმროში მოვიდა ერთი მექსიკური ოჯახი, რომელმაც სომბრერიები მოუტანა საჩუქრად ჩვენი ნაკრების კაპიტანს ა. შესტერნიოვს და ვ. კაპლიჩნის.

მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ინტერესს იწვევს. მეხიკოში უკვე ჩამოვიდა სხვადასხვა ქვეყნის ასობით კორესპონდენტი. სასტუმრო „მარია ისაბელში“ გუშინ პრეს-ცენტრი გაიხსნა. წინასწარი გამოანგარიშებით, მატჩების მსვლელობას 1500 ჟურნალისტი გააშუქებს. მზადაა ბურთები ოფიციალური მატჩებისთვის. სხვათა შორის, „მარია ისაბელთან“ გამოფენილია მსოფლიოში ალბათ ყველაზე დიდი ბურთი, რომლის დიამეტრიც თითქმის ხუთ მეტრს უდრის.

31 მაისს „აცტეკის“ სტადიონზე ჩემპიონატის გახსნა მოეწყობა. პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან სსრ კავშირისა და მექსიკის ნაკრები გუნდები. ჯერჯერობით კი სტადიონის კარი დაკეტილია და საწვრთნელი ვარჯიში აკრძალულია. პირველი შთაბეჭდილებით, მინდორი კარგადაა მომზადებული.

3. ᲒᲐᲕᲠᲘᲚᲘᲜᲘ.

(გაზეთ „კრასნაია ზვეზდა“ სპეც. კორ.).

მეხიკო, 23 მაისი.



ᲚᲘᲠᲡᲔᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲘᲬᲧᲐᲯ

რედაქციაში ხშირად შემოდის წერილები, სადაც სპორტის მოყვარულები გვეკითხებიან: სად არის თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი გ. სიჭინავა?

გ. სიჭინავამ ჩაიდინა უღირსი საქცელი, რისთვისაც 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

ᲒᲝᲚᲝ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ჩვენ უკვე ვიტყობინებოდით, რომ ლენინგრადში დამთავრდა კალათბურთელ ქალთა XXXVII საკავშირო პირველობა. ახლა გაცნობებთ ბოლოსწინა ტურის ერთი და ბოლო ტურის ყველა მატჩის შედეგებს: **21-ე ტური.** „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „პოლიტექნიკა“ (კაუნასი) 70:41 (37:18). **22-ე ტური.** სპი (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი) 60:78 (28:37), „დინამო“ (კიევი) — „უნივერსიტეტი“ (ტარტუ) 76:58 (42:29), „სერპ ი მოლოტი“ (მოსკოვი) — „პოლიტექნიკა“ 89:72 (43:40), „კიბირკშტისი“ (ვილნიუსი) — „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) 68:54 (38:19), „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 51:49 (27:29), ტტტ (რიგა) — „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) 60:53 (28:26).

რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის გუნდმა წლევანდელი პირველობა შესანიშნავად ჩაატარა და ზედიზედ მეცხრედ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტული.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

	მ.	წ.	ქ.
ტტტ (რიგა)	19	3	19
„სპარტაკი“ (ლენინგ.)	18	4	18
„სპარტაკი“ (მოსკ. ოლქი)	17	5	17
„ურალმაში“ (სვერდლ.)	15	7	15
„კიბირკშტისი“ (ვილნ.)	13	9	13
„დინამო“ (მოსკოვი)	11	11	11
„დინამო“ (კიევი)	10	12	10
„ბურევესტნიკი“ (ლენ.)	8	14	8
„სერპ ი მოლოტი“ (მოს.)	7	15	7
„პოლიტექნიკა“ (კაუნ.)	6	16	6
სპი (თბილისი)	6	16	6
„უნივერსიტეტი“ (ტარ.)	2	20	2

ᲝᲪᲓᲐᲐᲗᲘ „ᲡᲐᲡᲢᲘᲙᲘ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ“

წინასწარ ძნელია ითქვას, როგორ ითამაშებენ ფეხბურთელები მექსიკის კის მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში. სამაგიეროდ, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ხ. როუზმა განაცხადა, როგორი იქნება მსაჯობა: „ვაფრთხილებ ყველას, რომ წლეულს არავითარ უწესობას არ მოვითმენთ. ამ ბოლო ხანს მსაჯებს როგორღაც თვითნებურად ეკიდებიან და ფეხბურთელებს მინდორზე მბრძანებლობის ნება აძლევენ. მომავალ ჩემპიონატში მსაჯებს გაციცებით მეტი უფლება მივნიჭებთ, ვიდრე ოდესმე“.

„მეხიკო-70“-ის 30 არბიტრის ხიას, რომელთა შორის ბაქოელი ბახრამოვიც არის, ნომრები არა აქვს. თანასწორუფლებიანობის დასაცავად ფიფა-მ მსაჯები დაასახელა ანბანის მიხედვით, იმის გათვალისწინებლად, ვის რამდენი უმაღლესი რანგის მატჩი აქვს ჩატარებული.

23 მაისს არბიტრებმა თავი მოიყარეს მექსიკაში, სადაც მათთვის სპეციალური სემინარი ტარდება. კერძოდ, საბოლოოდ გადაწყდება საკითხი, როგორ უჩვენონ მსაჯებმა „თავისუფალი დარტყმა“. ევროპაში მსაჯი ასეთ შემთხვევაში ხელს მაღლა ასწევს ხოლმე, ლათინურ ამერიკაში კი არბიტრი ხელსაც სწევს და დამატებით ორ თითსაც უჩვენებს მოთამაშეებს. ერთხელ ევროპის სტადიონზე ამ გაუგებრობის მსხვერპლი გახდა სასლვანთქმული გარინჩა. მისი დარტყმის შემდეგ ბურთი, რომელიც არც ერთ მოთამაშეს არ შეხებია, პირდაპირ ბადეში გაეხვია, მაგრამ ბრაზილიელის გასაკვირად, მსაჯმა ხელით მინდვრის ცენტრისკენ არ მიუთითა...

არბიტრები სემინარზე გაივლიან... ფიზიკურ მომზადებასაც.

ფიფა-ს რჩეული ოცდაათი მამაკაცი უარს ამბობს ინტერვიუზე, არ დაწერს რეპორტაჟებს და არ გააანალიზებს კოლეგების მუშაობას ჩემპიონატის დღეებში.

* * *

ფიფა-ს ბოლო, ყოველთვიურ ბიულეტენში ყველაზე მეტი ადგილი არბიტრებს ეთმობა. აქ ნათქვამია, რომ ფიფა-ს მსაჯთა კომიტეტმა საპატიო ნიშნებით დაჯილდოვა ჯგუფი იმ არბიტრებისა, რომელთაც თავი გამოიჩინეს განვლილ სეზონში. მათ შორისაა თბილისელი კარლო ყრუაშვილიც.

საინტერესოა ბიულეტენის განყოფილება—„შეკითხვები და პასუხები“. ცნობილია, რომ თითქმის ყოველი წელი ათასნაირი მსჯელობის საშუალებას იძლევა. და აი, მსაჯები სვამენ შეკითხვებს, რომლებზეც თავადვე იძლევიან პასუხს. ერთ-ერთი შეკითხვა ასეთია: „აქვს თუ არა მსაჯს თამაშის შეწერების უფლება თუ მას სტადიონის განთება არ მოსწონს?“ მსოფლიო ჩემპიონატის მეორე ქვეჯგუფის შეარჩევ მატჩში შოტლანდიელმა მსაჯმა საიმმა ამგვარ სიტუაციაში შეწყვეტა შეხვედრა ირლანდიისა და დანიის გუნდებს შორის. კომიტეტი ამ შეკითხვაზე იძლევა მოკლე პასუხს: დიახ.

სამსაჯო კორპუსის „უხუცესი“ წევრი, არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი, 49 წლის ალი ჰუსეინ კანდილი ამავე დროს თავისებური საფეხბურთო პოლიგლოტიც არის. მან არაბულის გარდა იცის ინგლისური, ფრანგული და რუსული ენებიც. არბიტრებში ყველაზე ახალგაზრდაა 29 წლის ურუგვაელი საქმოსანი რამონ რუის ბარეტო. მსოფლიო ჩემპიონატებში ყველაზე მეტი მატჩი ჩატარებული აქვთ შოტლანდიელ რობერტ დევიდსონს და მექსიკელ მაქსიმო არტურო იამასაკი მალდონადოს — 22-22. ყველაზე გრძელი გვარი აქვს ესპანელ მსაჯს — ხოსე მარია ორტეგ დე მენდიბილ მონასტერიო...

...ხოლო როგორ იმსაჯებს 30 „სასტიკი მამაკაცი,“ ამას ჩვენ ტელევიზიის საშუალებით შევიტყობთ და ვნახავთ.

Ა. ᲙᲐᲩᲐᲚᲝᲕᲘ,
Ბ. ᲙᲣᲙᲣᲨᲐᲕᲘᲜᲘ.
(საკადესის კორ.).

 აი, ეს ოცდაათი „სასტიკი მამაკაცი“:

ლორაქსი (ბელგია)
დე მორაესი (ბრაზილია)
ჩენჩერი (გფრ)
ტეილორი (ინგლისი)
კლაინი (ისრაელი)
ზბარდელა (იტალია)
დე ლეო (მექსიკა)
მალდონადო (მექსიკა)
აილარ ელიზალდე (მექსიკა)
რადულესკუ (რუმინეთი)
ბახრამოვი (სსრ კავშირი)
ბარეტო (ურუგვაი)
კოერეცა (არგენტინა)
მარშალი (ავსტრია)
დანსტენი (ბერმუდის კუნძულები)
ორმაზაბალ დიაზი (ჩილი)
ველასკესი (კოლუმბია)
ტარეკეგნი (ეთიოპია)
მაშენი (საფრანგეთი)
გლიოკნერი (გდრ)
მარუიამა (იაპონია)
ხორვატი (იუგოსლავია)
ვან რავენნი (ჰოლანდია)
კანდილი (არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა)
სალდანია რიბეირო (პორტუგალია)
დევიდსონი (შოტლანდია)
მონასტერიო (ესპანეთი)
შეურერი (შვეიცარია)
ემსბერგერი (უნგრეთი)
ლანდაუერი (აშშ)

ამ არბიტრებიდან ინგლისში მსაჯობდნენ მხოლოდ ჩენჩერი, კანდილი, ტეილორი და ბახრამოვი.

ორტეზ დე მენდიბილი მსაჯობდა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ მატჩს იტალიასა და იუგოსლავიას შორის, ხოლო მაშენი — „მილანისა“ და „აიაქსის“ შარშანდელ ფინალურ მატჩს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე.

მექსიკის მსაჯთა კოლეგიის მეთაურს, თამაშის წესების წიგნის ავტორს დიეგო დე ლეოს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში მსაჯობის ყველაზე დიდი შანსი აქვს.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲠᲔᲑᲗᲐᲜ, ᲠᲐᲓᲘᲝᲛᲘᲛᲚᲔᲑᲔᲑᲗᲐᲜ

გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ 24 მაისის ნომერში გამოქვეყნდა სსრ კავშირის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილის შ. მელიქ-ფაშაევის წერილი, სადაც იგი ფეხბურთის მოყვარულებს ამცნობს, თუ როდის და რა წესით იწარმოებს ტელე და რადიოგადაცემები მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატიდან.

31 მაისის, 7, 14 და 21 ივნისის მატჩები მექსიკიდან უშუალოდ იქნება ტრანსლირებული. საქმე ისაა, რომ კვირადღეებში 17 საათზე იწყება კორიდა, რაც დიდად პოპულარულია მექსიკაში და ამიტომ ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს თამაშები დაიწყონ 12 საათზე. ეს კი ხელსაყრელი დროა ევროპის ქვეყნების ფეხბურთის მოყვარულთათვის.

31 მაისს 21 საათზე და 55 წუთზე (დრო ყველგან თბილისისაა) ცენტრალური ტელევიზიით და „მაიაკის“ პროგრამით დაიწყება ჩემპიონატის პირველი მატჩის (სსრ კავშირი — მექსიკა) რეპორტაჟი.

7 ივნისს ვვადალახარაში აგრეთვე დაგეგმილია პირდაპირი ტრანსლაციის მოწყობა რადიოთი და ტელევიზიით ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩისა — ინგლისი — ბრაზილია.

მაგრამ, სამწუხაროდ, მატჩების დიდი უმეტესობა დამთავრდება გვიან ღამით, 3 საათსა და 45 წუთზე. ამასთან დაკავშირებით, რეპორტაჟი გადაიცემა მეორე დღეს ჩანაწერის სახით რადიოთიც და ტელევიზიითაც.

3 ივნისს 13 საათსა და 35 წუთზე „მაიაკის“ პროგრამით და 20 საათსა და 30 წუთზე ტელევიზიის პირველი პროგრამით მოიხმენთ და ნახავთ რუმინეთისა და ინგლისის გუნდების შეხვედრის რეპორტაჟს. 4 ივნისს 20 საათსა და 30 წუთზე ტელევიზორით ნახავთ ჩეხოსლოვაკიისა და ბრაზილიის მატჩის ჩანაწერს. „მაიაკის“ პროგრამით 10-წუთიანი რეპორტაჟი მოიხმინეთ 13 საათსა და 35 წუთზე.

კვირას, 7 ივნისს, დიდი საფეხბურთო დღეა. 19 საათსა და 45 წუთზე ტელევიზიით გადასცემენ სსრ კავშირისა და ბელგიის გუნდების შეხვედრის ჩანაწერს. 20 საათსა და 45 წუთზე რადიოს პირველი პროგრამით ტელეგადაცემასთან ერთად იწარმოებს ამ მატჩის ბოლო 30 წუთის რეპორტაჟიც. იმავე საღამოს — 21 საათსა და 55 წუთზე გვადალახარადან გადასცემენ ბრაზილიისა და ინგლისის გუნდების შეხვედრას. კვირას დილით განზრახულია კიდევ ერთი მატჩის (რუმინეთი — ჩეხოსლოვაკია) გადაცემა.

სხვა გადაცემებზე მექსიკიდან თქვენ შეიტყობთ რადიო და ტელევიზიის პროგრამებიდან, მაგრამ უკვე ახლა შეიძლება ითქვას, რომ ევროვიზიისა და ინტერვიზიის დახმარებით ფეხბურთის მოყვარულნი ნახავენ შემდეგ მატჩებს: გფრ — ბულგარეთი, სსრ კავშირი — სალვადორი, მექსიკა — ბელგია, ჩეხოსლოვაკია — ინგლისი, ორ მეოთხედფინალს, ორ ნახევარფინალს, მატჩს III ადგილისთვის, ფინალსა და ჩემპიონატის დახურვას.

„უკანასკნელი ცნობებისა“ და „მაიაკის“ გადაცემებში რეგულარულად გაუშქდება ახალი ამბები და მექსიკაში მომხდარი ამბების კომენტარები. 1 ივნისიდან დაწყებული, 8 საათსა და 30 წუთზე და 22 საათსა და 30 წუთზე „მაიაკის“ პროგრამით მოისმენთ მსოფლიო ჩემპიონატის სპეციალურ კომენტარებს.

საყველური ძირითად მოთამაშეებს

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 24 მაისი.

„დინამო“ (თბილისი) — „პალმეირასი“ (სან-პაულუ) 2:4 (1:4).

„დინამო“: სტეფანია, ჩიტაური, კანთელაძე, შერგელაშვილი, ხინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ილიადი (მაჩაიძე), ბურჯანაძე (მჭედლიშვილი), გავაშელი (ლოლობერიძე), ლ. ნოდია.

„პალმეირასი“: ნეური, ნეესი (ეურიკო), პერეირა, ზეკა, დუდუ, დე. ედუ (კოპეუ), კაბრალი (ზე კარლოსი), კარდოსო, ადემირი (ჟაიმე), პიო.

მსაჯი ი. ბოჩაროვი (მოსკოვი).

თბილისის „დინამოს“ თავის მინდორზე ორჯერ ჰყავს დამარცხებული ბრაზილიის ძლიერი, პროფესიული საკლუბო გუნდები. პირველად მას იღბლად გადაურჩა „ატლეტიკა პორტუგეზა“ (2:2), მერე კი ერთნაირი ანგარიშით (0:4) დამარცხდნენ ჯერ „პაია“, მერე კი განთქმული „ფლამენგო“.

მაგრამ 24 მაისს ეს „ტრადიცია“ დაირღვა და ბრაზილიელებმა თავიანთი პირველი რევანში აიღეს თბილისის სტადიონზე.

ალბათ ზოგიერთი გულშემატკივარი ასეთ გამარჯვებას არც ჩათვლის სრულ რევანშად, ვინაიდან თბილისის „დინამოს“ ღირსებას ამ დღეს არსებითად დუბლიორთა შემადგენლობა იცავდა. პირველი შემადგენლობიდან მას აკლდნენ ურუშაძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია. აკლდა რეხვიაშვილიც. ასეთ პირობებში გუნდის დაკომპლექტებაზე კი არა, ფაქტიურად, შეკოწიწებაზე იყო ლაპარაკი და მაშველ ძალად ქუთაისის „ტორპედოდან“ შერგელაშვილის მოწვევაც კი გახდა საჭირო. მართალია, არც „პალმეირასი“ გამოვიდა მინდორზე იდეალური შემადგენლობით, ვინაიდან მას 3 წამყვანი მოთამაშე აკლდა, მაგრამ სად 3 და სად 7? სამ ფეხბურთელს თითქმის უმტკივნეულოდ შეცვლიან ისეთი კლასის პროფესიულ კლუბში, როგორიცაა „პალმეირასი“.

ჩვენს რეცენზიას ვიწყებთ იმ პირდაპირი, დაუფარავი საყვედურით, რომელიც პირველ ყოვლისა ეკუთვნით არა გამოუცდელ ახალგაზრდებს — დუბლიორებს, არამედ ძირითად მოთამაშეებს — გამოცდილ ფეხბურთელებს, მათ, ვისაც უნდა ეტვირთა ამ მატჩის სიმძიმე და ვინც უნდა იკისროს მომავალ შეხვედრათა ბედის ხელში აღება.

დავიწყოთ ლ. ნოდიათი. მატჩის პერიოდებში ისე გადიოდა 10-15 წუთი, რომ იგი არა თუ არ იღებდა თავის თავზე ინიციატივას, საამისო სურვილის გამომჟღავნებასაც არ აპირებდა. და ეს მაშინ, როცა საკმარისი იყო მისი მცირეოდენი გააქტივება და საქმე მაშინვე სწორდებოდა.

ან გავაშელი. იგი პრინციპულად არავის ამჩნევდა თავის გარშემო, არავის აწვდიდა ბურთს, ატარებდა მანამ, სანამ წაართმევდნენ. ეს კი საკმაოდ მალე ხდებოდა.

ილიადი. იგი როგორღაც გაითქვიფა საერთო მასაში, შერჩა შუა მინდორს, რეალურ დახმარებას თავის დაცვასაც ვერ უწევდა და არც ბრაზილიელთა კარისთვის წარმოადგენდა რაიმე საშიშროებას. ამიტომ გახდნენ მწვრთნელები იძულებული ამ გამოუვალ მდგომარეობაშიც კი შეეცვალათ გავაშელი და ილიადი.

ხინჩაგაშვილი. მას უშუალო მოწინააღმდეგედ შეხვდა ბრაზილიელთა ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო და აგრესიული ფორვარდი — სწრაფი, ტექნიკური ედუ. საჭირო იყო დიდი ტექნიკური ალღოს, უკიდურესი ყურადღებიანობის, სიფრთხილის გამოჩენა, მჭიდრო პერსონალური დაცვით თამაში მისი ნეიტრალიზებისთვის, ხინჩაგაშვილმა კი ეს დაივიწყა და ისევ „საშუალედო“ პოზიციას იჭერდა ედუს მიმართ, რომ ეს უკანასკნელი თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში.

კუტივაძე. „დინამოს“ ამ მოიერიშე ნახევარმცველმა საუკეთესოდ დაიწყო თამაში და ასეც ჩაატარა პირველი 20-25 წუთი. მერე, როცა გუნდს მძიმე პერიოდი დაუდგა და „პალმეირასმა“ 20 წუთის განმავლობაში ზედიზედ 3 ბურთი გაიტანა, მანაც „ჩაიქნია ხელი“.

ჩვენ საგანგებოდ გამოვყავით ეს მოთამაშეები იმიტომ, რომ პირველ ყოვლისა სწორედ მათ უნდა მიეცათ ტონი თამაშისთვის, გაპოეჩინათ მებრძოლის თვისებები, ნებისყოფა და არ დაეთმოთ მინდორი ბრაზილიელთათვის, მით უმეტეს, რომ „პალმეირასის“ მოთამაშეებს ისეთი არაფერი გამოუჩენიათ, რომ გაეკვირვებინათ და დაეჩაგრათ ჩვენი ფეხბურთელები.

პირველი 15 წუთი მიმდინარეობდა საინტერესო, თანაბარ ბრძოლაში. გამოლილ შეტევას აწარმოებდა ორივე გუნდი, იყო სახიფათო მომენტები. რამდენიმე მწვავე მომენტი შექმნეს კუტივაძემ, გავაშელმა, მაგრამ მე-11 წუთზე ზეკამ პირველად ბურთი ბადეში ძლიერად დაარტყა და ბურთი ზედა მარცხენა „ცხრიანში“ გაგზავნა, საიდაც სტეფანიას ნახტომი ვერ მისწვდა.

ეს გოლი გავაშელმა მე-18 წუთზე გაქვითა კუტივაძის გადაცემიდან ზუსტი თავური დარტყმით და თითქოს ყველაფერი თავიდან უნდა დაწყებულიყო, როცა ბრაზილიელებმა სულ რამდენიმე გადაცემით მიაღწიეს მარჯვენა ფლანგს, ბურთი ცენტრში გადააწოდეს და ადემირმა ისევ დააწონაურა „პალმეირასი“ — 2:1.

აი, ამ პერიოდში აირია დინამოელთა თამაში. მინდვრის ცენტრი მთლიანად სტუმრებს ჩაუვარდათ ხელთ, ცენტრს თანდათან მიჰყავა წინა პოზიციებიც და კარდოსომ ორჯერ ზედიზედ აიღო დინამოელთა კარი — 4:1.

ბრაზილიელთა კარნახით მიმდინარეობდა თამაში შესვენების შემდეგაც. ორივე გუნდმა რამდენიმე ცვლილება მოახდინა თავის რიგებში, მაგრამ გამარჯვებულები ამას აკეთებდნენ იმიტომ, რომ ყველასთვის მიეცათ თამაშის საშუალება, დინამოელები კი იმ მაზნით, რომ როგორმე შეეტანათ გარდატეხა მატჩის მსვლელობაში. ბოლოს ეს მოხერხდა კიდეც: რამდენიმეჯერ კარგად ითამაშა მაჩაიძემ. ბოლოს, 73-ე წუთზე, მაჩაიძის დარტყმული ბურთი მოხვდა პერეირას, მისგან — ნოდიას და ნოდიას დარტყმის მერე აღმოჩნდა ბადეში — 2:4.

დარჩენილ დროში თბილისელები კიდევ უტევდნენ, მაგრამ ერთობ უსისტემოდ. თანაც, იერიშის დასასრულს ჩვენი თავდამსხმელები თამაშობდნენ მაღალი გადაცემებით, ასეთ ბურთებს კი „პალმეირასის“ მაღალი მცველები. იოლად იგერიებდნენ.

რ. ქორიძე.



ექს-ჩემპიონებმა დაჯაბნეს ჩემპიონები

ლეიბლიანა, 24 მაისი. მაშ ასე: VI მსოფლიო ჩემპიონატში მოსასპარეზე კალათბურთელმა ვაჟებმა დავა დაასრულეს. ბოლო 2 ტურის მატჩები ასე დამთავრდა: 23 მაისი. იუგოსლავია — აშშ 70:63 (35:32), სსრ კავშირი — იტალია 62:58 (28:22), ბრაზილია — ურუგვაი 86:81 (43:35); 24 მაისი. სსრ კავშირი— იუგოსლავია 87:72 (49:38), ბრაზილია — აშშ 69:65 (35:34), ჩეხოსლოვაკია — ურუგვაი 75:69.

ამ შედეგებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა გათამაშების ცხრილში. მაგალითად, აშშ-ს ნაკრებმა V ადგილზე გადაინაცვლა, იტალიელები დამკვიდრდნენ IV, საბჭოთა კალათბურთელები — III, ბრაზილიელები— II ადგილზე. ამ უკანასკნელთ და საბჭოთა სპორტსმენებს ქულათა თანაბარი რაოდენობა აქვთ, მაგრამ ბრაზილიელებს იმიტომ მიეცათ უპირატესობა, რომ მათ სსრ კავშირის ნაკრებთან შეხვედრა მოიგეს. ანალოგიური უპირატესობა აქვთ იტალიელებს აშშ-ს კალათბურთელებთან.

იუგოსლავიელებმა ჯერ კიდევ ბოლო ტურის წინ აშშ-ს ნაკრებთან მოგებით გაინაღდეს ოქროს მედლები. ისინი პირველად დაეუფლნენ მსოფლიო ჩემპიონის წოდებას. უზომოდ გახარებულმა გუნდის მწვრთნელმა რ. ჟერავიჩმა პრეს-კონფერენციაზე ჟურნალისტთა თხოვნით დაასახელა ჩემპიონატის მონაწილეთა საუკეთესო ხუთეული: მ. პაულაუსკასი და ს. ბელოვი (ორივე — სსრ კავშირი), კ. ჩოსიჩი (იუგოსლავია), გ. სმითი (აშშ), ო. არესტია (ურუგვაი).

თანამემამულეთა გამარჯვების შემდეგ ლიუბლიანელებს მთელ დამეს არ ეძინათ. ქომაგები პირდაპირ ქუჩაში ზეიმობდნენ, მღეროდნენ, გაისმოდა საკრავების ხმა.

სსრ კავშირის ნაკრებს იტალიელებთან მოგება ძალიან გაუჭირდა. საერთოდ, ამ მატჩში ორივე გუნდის მოთამაშეები მეტისმეტად ნერვიულობდნენ და ამიტომაც ხშირად უშვებდნენ შეცდომებს. მეორე დღეს, როცა I ადგილის ბედი გარკვეული იყო, სსრ კავშირის ნაკრები (უკვე ექს-ჩემპიონი) მსოფლიოს ახალ ჩემპიონს — იუგოსლავიის გუნდს შეხვდა. საბჭოთა კალათბურთელებმა ჩემპიონები დამაჯერებლად დაამარცხეს და ამით დაადასტურეს, რომ მათ შესწევდათ უნარი უკეთესი შედეგები მოეპოვებინათ. სამწუხარო შეცდომებმა, აგრეთვე, ბრაზილიელებთან და ამერიკელებთან მატჩებში შებორკილმა თამაშმა ისინი სატურნირო ცხრილის მხოლოდ მესამე საფეხურზე დააყენა.

ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ დასახელებულია ს. ბელოვი. ამასთან მან ყველას აჯობა საჯარიმო ტყორცნებში: 34-დან 33! სსრ კავშირის ნაკრებიც ყველაზე მარჯვე გამოდგა საჯარიმოების გამოყენების მხრივ: 70 პროცენტი.

პრიზი — „ოქროს ხელი“ მიიღო ჩეხოსლოვაკიელმა ზიდეკმა, რომელმაც ყველაზე მეტი ქულა დააგროვა — 122. მას 20 ქულით ჩამორჩა იუგოსლავიელი ჩოსიჩი. საბჭოთა გუნდში ყველაზე შედეგიანია ს. ბელოვი —83 ქულა (V ადგილი). ყველაზე ზუსტი იყო აშშ-ს გუნდის წევრი ჰილმენი — მისი ნატყორცნი ბურთებიდან 65 პროცენტმა მიზანს მიაღწია. II ადგილზეა ჟარმუხამედოვი (59 პროცენტი). ამ მხრივ გუნდებს შორის I ადგილზეა იტალიის ნაკრები (44 პროცენტი).

ყველაზე მეტი დრო მოედანზე დაჰყო ბრაზილიელმა უბირატანმა (224 წუთი 240 შესაძლებლიდან). საბჭოთა გუნდიდან ყველაზე მეტ ხანს ითამაშეს პაულაუსკასმა (164 წუთი) და ს. ბელოვმა (161).

კალათბურთელთა ტურნირი დამთავრდა სპოტშიც, სადაც გუნდები VIII-XIII ადგილებისთვის იბრძოდნენ. აქ ყველას აჯობა კუბის ნაკრებმა. მომდევნო ადგილებზე არიან: პანამა, სამხრეთ კორეა, კანადა, ავსტრალია, არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა.

ზ. ჯაფარიძე,
ნ. გუგუშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ჩემპიონატის საბოლოო ცხრილი

	მ.	წ.	ბ.	ქ.
იუგოსლავია	5	1	445—397	5
ბრაზილია	4	2	416—421	4
სსრ კავშირი	4	2	478—386	4
იტალია	3	3	411—403	3
აშშ	3	3	431—376	3
ჩეხოსლოვაკია	2	4	440—509	2
ურუგვაი	0	6	342—471	0

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ფრე ლიდერთან

მოსკოვი, 24 მაისი. დღეს ცსკა-ს დარბაზში გაიმართა ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის II წრის ბოლოსწინა ტურის მატჩები. თბილისის „ბურევესტნიკმა“ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერს — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდს და ფრეს მიაღწია — 24:24. თბილისელები ეტყობა გამოფხიზლდნენ: ბოლო სამი შეხვედრიდან მათ ორი ფრედ დაამთავრეს და ერთიც მოიგეს.

„კუნცევომ“ დაამარცხა ზმეტი — 13:12, ცსკა-მ — „სტრაუმე“ — 18:15, „უნივერსიტეტმა“ — „ალუმინსტროი“ — 22:19.

25 მაისს II წრის ბოლო ტურია. თბილისის „ბურევესტნიკი“ შეხვდება „ალუმინსტროის“.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 25 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
საავიაციო ინსტიტუტი (მოსკ.)	13	11	2	0	285—236	24
„კუნცევო“ (მოსკოვი)	13	10	2	1	231—192	22
„უნივერსიტეტი“ (კრასნოდარი)	13	7	1	5	243—243	15
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	13	5	2	6	237—233	12
ცსკა	13	4	3	6	229—250	11
„ალუმინსტროი“ (ზაპოროჟიე)	13	3	1	9	205—227	7
„სტრაუმე“ (რიგა)	13	3	1	9	221—250	7
ზმეტი (ზაპოროჟიე)	13	2	2	9	200—220	6

თბილისის სპორტულ ბაზებზე

სპიდვეი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. **საკლუბო გუნდების საკავშირო პირველობა. დღეს: „თბილისი“—„კარპატი“ (ლვოვი).** დასაწყისი 18 ს.

ველოსიპედი. რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზი. **ქალთა VI საერთაშორისო ტურნირი. დღეს: V ტური.** დასაწყისი 16 ს. 30 წ.

ფარიკაობა. „ბურევესტნიკის“ დარბაზი. **26-30 მაისი. საქართველოს უძლიერეს სპორტსმენთა. პირადი პირველობა.** დასაწყისი 10 ს.

ცურვა. თბილისის განათლების განყოფილების აუზი (საარმის ქ. № 40). **26-27 მაისი. საქალაქო ტურნირი „სოვეტსკი სპორტის“ პრიზზე — „მხიარული დელფინი“. II ეტაპი.** დასაწყისი 17 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ხტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 08201